# სახალხო გაზეთი

№ 142 ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი [illegible] № 142

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ქვრივი ნატალია ვახტანგის ასული, ბლადჩინი დეკანოზი კონდრატე ჩაჩიბაია, მარიამ ანჯაფარიძისა, ფეოდოსია ანთადავასი, მინადორა და ელპიდი უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ გარდაცვალებას. პირველის უსაყვარლესის მეუღლისა, ხოლო დანარჩენთ მამისა

მალაქია გატუნიას მე ჩაჩიბაიასას.

რომლის ტირილის და უკანასკნელ გამოთხოვების დღე დანიშნულია 27 ამა ოქტომბერსა, დღით ოთხშაბათს ს. კიწიას. (1—174 1)

კვირას, 31 ღვინობისთვეს, სოფელ შაშიანის ეკლესიაში, კახეთში, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა მიცვალებული

რომან ილიას მე რცხილაძეს

სულის მოსახსენებლად (1—178—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, გაიმართება

ილია ჭავჭავაძის

სახსოვრად

სალიტერატურო და მუსიკალური

განყოფილება.

I ილიას სურათის წინ ა) სიტყვა კიტა აბაშიძისა, ბ) ევდოშვილის ლექსს წაიკითხავს ნ. ერისთავი, გ) ხორო;

II დედა და შვილი, დრამატიული პოემა, მონაწილეობას იღებენ ქ-ნი ჩირგაძე და ბ-ნი შარაშიძე;

III ცხოველი სურათი „კაკო ყაჩაღი“-დან, ურმულით; სურათს დასდგამს ი. ნიკოლაძე.

VI სალიტერატურო და მუსიკალური განყოფილება, მონაწილეობას იღებენ: ი. ზურაბიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გრ. დიასამიძე, ნ. ერისთავი, კ. მაყაშვილი, სვ. ყიფიანი, ნაკაშიძე. ხორო შეასრულებს ქართულ სიმღერებს.

V ილიას ცხოვრებიდან სინემატოგრაფიული სურათი.

VI ცხოველი სურათი მელოდეკლამაციით, მონაწილეობენ ქ-ნი დავითაშვილი, ხალდასტანიშვილი, ბ-ნნი შალიკაშვილი, ნ. ერისთავი, *** სურათს დასდგამს ი. ნიკოლაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (2—172—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ჯაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. [illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—473)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

შალამბერიძე გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ჭეჭელაძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურგ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურგ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი ზ. ვ. ქირურგ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფეოდოროვი. რჩევა ღირს 60 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცკონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—5.—310)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალიბისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს ხატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—23)

ნინო ჩხეიძის ბასტროლი

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 16.

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

მოგზაური ქერ-ქვეშ

დრამა 4 მოქმედებად გ. ზუდერმანისა. თარგმანი ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: აბაშიძე ტ., ვიქტორელი მ., კარგარეთელი ა., პიერეტტა ა., ქილარჯიშვილი მ., შოთაძე ა., ჩერქეზიშვილი ე., ბ-ნნი: გუნია ვ., ყიფიძე ი., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „მისს გობს“, მირრა ეფროს“ და სხვა.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

გამოცემა მიხეილ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

ტელეფ. № 372.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—68)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—246)

ექიმი ქ. ქუთაისში

გ. თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა, სიფილისის და კანის სნეულება ავადმყოფთ. 9—1 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ., ყარაულოვის სახლი. (5—170—3).

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზღვადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—64)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავათმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—19)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამ. დე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—7)

ექიმი ი. ი. მინასიანცი

სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთ [illegible] ქუჩა N 39.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვზე N 2. გადავიდა [illegible] ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

# ქართულ მუსიკის შესახებ

განახლებული ქვაშვეთის ეკლესია მეტად სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება სავსებით არის დაცული. სადა და თავ-დაჭერილი აზრი ისახება მასში. ტაძარი თეთრი თლილის ქვისაა. მას არა ჰრთავს არც ლურჯი და წითელი არშიები, როგორადაც აჭრელებულია საშუალო საუკუნის მოსკოვის ხუროთ-მოძღვრება, არც რენესანსებური ფრესკები და ორნამენტები. იგი ქალწულებრივის სიფაქიზით არის დამშვენებული და მის კარებს ვიწრო და მაღალ ფანჯრებს, მის მაღალ თავისუფლად ამართულ კედლებს ყურძნის მტევნებით გარს ევლება ცნობილი ქართული ჩუქურთმა-წნული.

მუდამ დღე დავდივართ ამ ხელოვნების ლამაზ ნაშთის გვერდით და არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ. ეკლესია ჩვენთვის გარეგნულ დაწესებულებად გახდა და მისი ხუროთმოძღვრებაც, საუბედუროდ, ჩვენს გულს აღარას ეუბნება. ცირკის ფიცრულ ბალაგანის აგებას მეტის გულმოდგინეობით ვადევნებთ თვალყურს ვიდრე ეროვნულ არქიტექტურის გამოცოცხლების საქმეს.

წინაამდეგ ქართველ ინტელიგენტის ჩვეულებისა, წარსულ კვირას შევიარე ამ ძველს ტაძარში. ზედა-სართული ჯერ არ უკურთხებიათ. ასე რომ ვერა ვნახე კანკელი, რომლის სილამაზის შესახებ დიდი ქება ისმის საზოგადოებაში. ეკლესიაში სხვა რამ იყო საყურადღებო. ჰგალობდა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების ხორო ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით. ეს ხორო მიზიდავდა და მის სასმენად მივედი საყდარში.

ქართული გალობა და ქართული მუსიკა, როგორც საზოგადოდ ყოველი ქართული კულტურული საქმე, კრიზისს განიცდის. მთელს საქართველოში თითქმის მოისპო და აღარ ისმის ქართული სიმღერა და გალობა. ეს გარემოება დიდ უბედურების მომასწავებელია. არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის, არამედ მუსიკის საქმისათვის საზოგადოდაც. ქართული მუსიკა მდიდარი მასალაა სიმფონიურ მუსიკურ შემოქმედებისათვის.

ჩვენში არის რამდენიმე თავგანწირული ადამიანი, რომელსაც კარგად ესმით ქართულ მუსიკის კერძო და საზოგადო მნიშვნელობა და მათის მუშაობის წყალობით ჩვენ უკვე განვვლეთ პირველი პერიოდი მუსიკალურის განვითარებისა. ეს პერიოდი—ნოტაზზე გადაღება და ჩაწერა სახალხო სიმღერებისა და ძველის საეკლესიო გალობისაა. ქორიძე, ბალანჩივაძე, ალნიაშვილი, კარგარეთელი, კარბელაშვილი, ჩხიკვაძე, კავსაძე, არაყიშვილი, ფოცხვერაშვილი, სულხანიშვილი, ფალიაშვილი და სხვანი—ყველა ამათ მიუძღვით ღვაწლი ამ საქმეში. მუსიკურ შემოქმედებისათვის მათ მდიდარი მასალა შეაგროვეს, შეიმუშავეს და დაამზადეს. მომწიფებული ყანა მამკალს ელის. ატმოსფერა და ნიადაგი იმგვარია, რომ დღეს ხვალ უნდა გამოჩნდეს შემოქმედებითის ნიჭით ალჭურვილი ადამიანი ქართულ ოპერისა და სიმფონიის დასაწერად. ამ დარგში უკვე რამდენმა კაცმა სცადა თავისი ნიჭი. ამ უკანასკნელ დროს საპროგრამო მუსიკის ნიმუშიც დაიბადა ჩვენში (ფოცხვერაშვილი). ამ ნიმუშის შესახებ, საუბედუროდ, ვერას ვიტყვი რადგან არ მომისმენია იგი. ვიტყვი მხოლოდ, რომ სახიფათო დარგი ამოურჩევია ახალგაზდა კომპოზიტორს. საპროგრამო მუსიკა საუკეთესო ფირმად არ უნდა ჩაითვალოს მუსიკურ აზრის გამოთქმისათვის. აქ მუსიკა სუჟეტს ექვემდებარება და მუსიკას დაკისრებული აქვს სიტყვაკაზმულ შემოქმედების როლი, რაიც, ერთის მხრივ, ავიწროვებს მუსიკურ აღფრთოვანებას, მეორეს მხრივ კი, სიყალბესაც ჰბადავს. ხმასა და ჰარმონიას თავისი საკუთარი მოქმედების წრე აქვს. იგი ვერც მხატვრობის მაგიერობას გასწევს, ვერც სილოგიზმის იარაღად გამოდგება. მხატვრობა აუცილებლივ კონკრეტულია, მუსიკა კი ყოველთვის ფორმას მოკლებული, სულიერი განწყობილებაა, იგია ირაციონალი თავის ბუნებით და მასში ყოველთვის ისახება ადამიანის ბუნების მეტაფიზიკური და დიონისსებური ელემენტები.

ახალი, მეორე პერიოდი (რომელიც იწყება ახლა ჩვენში) ქართულ მუსიკის განვითარებისა, ჩემის აზრით, საპროგრამო მუსიკის შემოქმედებიდან ვერ იწყებს სიარულს. მდიდარი შეგროვილი მასალა განუვითარებელი დარჩება. ეს მასალა თვით შეიცავს უკვე მუსიკურ აზრს. საჭიროა მხოლოდ მუსიკურ აზრის თავისუფალი განვითარება, გაშლა, გართულება. და რამდენადაც მესმის, სანამ დადგება ჩვენში მუსიკურ შემოქმედების გაშლისა და მომწიფების დრო, უნდა კარგად იყოს დაყენებული უკვე არსებულ ხალხურ და საეკლესიო მუსიკის აღსრულების საქმე. საჭიროა კარგად გაწვრთნილი ხოროები და სიმებიანი ორკესტრები, რომ შესაძლებელი იყოს უკვე არსებულ მდიდარ მასალის ესთეტიკის მხრივ უნაკლულო გადმოცემა. საჭიროა დატკბობა იმითი რაცა გვაქვს და მას შემდეგ გაღრმავება და გართულება ამ მასალისა.

ეროვნულ ხმების ჩაწერასთან ერთად დღემდე ამ საქმესაც ემსახურებოდნენ ჩვენი კომპოზიტორები. მაგრამ ეს საქმე ახლაც არ არის რიგიანად მოწყობილი. ალნიაშვილის დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე თითქმის არ არსებობდა ჩვენში იმისთანა ხორო, რომელსაც შეეძლო მუსიკურ გემოვნების გაღვიძება და გაფაქიზება ჩვენში (ორი სამი შემთხვევა ჩასათვალავი არ არის). საჭიროა მუდმივი რამ და ამასთან დაფასების საზომიც უნდა იყოს აწეული და უფრო სასტიკი. საქმე იმაში კი არ არის, რომ მწყობრად შეასრულონ სიმღერები და გალობანი საჭიროა ესთეტიური აღფრთოვანება, სტილი, ცოცხალი და ღრმა გამოთქმა შიგ ჩართულ აზრისა. ამ მხრივ კი სუსტნი ვიყავით დღემდე. ფილარმონიულ [illegible] დღებ.

ქვაშვეთის ეკლესიაში წარსულ კვირას და აღნიშნულ საზოგადოების ხოროს გალობამ იმედი გაგვიღვიძა მუსიკის აღორძინების შესახებ.

ზ. ფალიაშვილმა ოთხ ხმაზე დასწერა წირვა და დიდის ცოდნით, მოხერხებითა და ენერგიით ლოტბარობდა ხოროს. ხელის გაქნევით როგორც ერთ კაცს ამოძრავებდა ქალ-ვაჟთა მწყობრ ხმებს და ათქმევინებდა მათ სევდით და მწუხარებით გამსჭვალულ გალობას. ოთხ ხმაზე ქართულ გალობის თქმის მოწინააღმდეგენიც უნდა ყოფილიყვნენ კმაყოფილნი. რადგან საქმე ტრადიციის დაცვაში არ არის, არამედ ესთეტიურ ხასიათის შთაბეჭდილებასა და ქართულ კილოს დაცვაშია. იმ გალობაში კი ორსავე ჰპოვებდით.

ქართული მუსიკა, განსაკუთრებით ჰსახავს სიცოცხლის ირაციონალ მხარეს. ბემოლები და დისონანსები არღვევს კონკრეტულ ფორმის ინდივიდუალობას, საზღვარდაუდებელ სამეფოსაკენ გიზიდავს. ხოლო გალობის ბოლოში ხმის მაღლა აყვანით და გალობის უცნაურად, მოულოდნელად უნისონით დაბოლოვებით მუსიკური აზრი თითქმის სასოწარკვეთილებას გამოსთქვამს შეუგნებელ საიდუმლოების წინაშე. „შენ ხარ ვენახი“—ნამდვილი სიმფონიური ტრაგედიაა. მუსიკა გიპყრობს და უფრო გასაგები ხდება სახარების ის ადგილი, სადაც მოთხრობილია სულის ტანჯვა და მწუხარება (იოან. თავი № 15, 16, 17) „რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან, ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა.“ და ეს ღრმა წინააღმდეგობა „სოფელსა“ და „არა-სოფლისაგანსა“ შორის არსებული, წინააღმდეგობა ხორცისა და სულისა, ოცნებისა და სინამდვილისა მწუხარებით ავსება

ადამიანის გულს. „რამეთუ ჰსტიროდეთ და ჰგოდებდეთ თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდეს და თქვენ ჰსწუხდეთ, არამედ მწუხარება თქვენი სიხარულად გადაიქცეს“. და ჰიმნი თითქოს უგალობს ადამიანის განთავისუფლებას მწუხარებისაგან. „და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემი არს... და არღარა ვარ მე სოფელსა ამასა, და ესენი სოფელსა შინა არიან, და მე შენდა მოვალ, მამაო წმინდაო“.

დიდებულის ალმაფრენით ისპობა დუალიზმი ადამიანის ბუნებისა და წინააღმდეგობა სულისა და ხორცისა. მაგრამ ეს სიხარული ხანგრძლივი არ არის. დისსონანსი არღვევს ჰარმონიას, „ხელმწიფება ყოველთა ხორციელთა“ სუსტდება და ხელმეორედ იწყება ტრაგედია სულისა...

ვაშა ზ. ფალიაშვილსა და მის ხოროს!

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

**თავმჯდომარეობს თ-დი ვოლკონსკი.** ახლად არჩეული დეპუტატები შუმახერი, რუმიკევიჩი და შიდლოვსკი დაამტკიცეს. პირველ-დაწყებით სწავლის შესახებ კამათი გრძელდება.

**კრუპენსკი.** აღნიშნავს, რომ უპირველესად მასწავლებელთა გონებრივს განვითარებას უნდა მიექცეს ყურადღება და აგრეთვე სკოლიდან განიდევნოს პოლიტიკა, რომელსაც მას მემარცხენენი თავზე ახვევენ. ორატორი სამინისტროს ყურადღებას აქცევს პედაგოგიურს ლიტერატურაზე და ბესარაბიულ ჟურნალ „სახალხო მასწავლებლიდან“ ნაწყვეტები მოჰყავს, სადაც რუსეთის პოლიტიკის სიმკაცრეს და მთავრობის თავ-ადებულ თვითნებობას ჰკიცხავენ წერილში „დასჯილ რევოლიუციონერთა ხსოვნა“ და სხვ. შემდეგ განმარტავს მაზრის წინამძღოლთა დანიშნულებას სახალხო განათლების საქმეში და იმოწმებს 1873 წლის უმაღლეს ბრძანებას, რომელიც სახალხო განათლების დარაჯად თავად-აზნაურობას აყენებდა. ორატორი ჩამოსთვლის საეკლესიო სკოლის ნაკლულევანებათ და მათს გამოსწორებას თხოულობს, მაგრამ საეკლესიო სკოლის გაუქმების მომხრე არ არის და არც მისი ეკლესიიდან ჩამოშორება მიაჩნია სასურველად, ვინაიდან საეკლესიო სკო[illegible]რგებლობა არ მოაქვსო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს, სამართალში მისცეს სახალხო სკოლის 23 ათასი მასწავლებელი და აქედან სამრევლო სკოლის მასწავლებელი მხოლოდ 150 იყოო, (ტაშის ცემა მარჯვნივ და ნაციონალისტებში).

**ხასმამედოვი** ამბობს, რომ პროექტი „ინოროდცების“ სკოლაში დედა-ენაზე სწავლებას მეტად ზღუდავს, რის გამოც განზრახული სკოლა მუსულმანებს ახალს არაფერს ანიჭებს და მხოლოდ იმას ადასტურებს, რაც მუსულმანებისაგან აქამომდეც უკმაყოფილებას იწვევდა. ეს რეფორმა ჩვენის სულიერის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არა სცდილობს, პირ-იქით, იგი სკოლის ნამდვილს დანიშნულებას მთლად უყურადღებოდ სტოვებს. თუ მესამე სათათბიროსა ჰსურს, რომ ხალხის განათლების საქმეში რაიმე გაარიგოს, იგი უნდა შეეცადოს, სკოლა რუსეთის ყველა ეროვნებისათვის შესაწყნარებელი და მოსაწონი იყოს. გარუსების პოლიტიკა სკოლაში და დედა-ენის სიყვარულის ჩაკვლის მეცადინეობა საქმეს წინდაწინვე დაღუპვის გზაზე აყენებს.

**კლიუჩევი** ვრცლად ეხება სკოლის საქმეს, აუარებელი მაგალითები და ამონაწერები მოჰყავს და ამტკიცებს, რომ ყველა პირველ-დაწყებითი სკოლა ერთს უწყებას უნდა დაექვემდებაროს, რადგან ამ წმინდა საქმეში ორის გზით სიარული, მთელს ძალას. ორ სამტრო ბანაკად ჰყოფს. შემდეგ იგი მიმართავს საეკლესიო სკოლის ავტონომიის მომხრეთ და პირადის გამოცდილებით (როგორც [illegible]ტკიცებს, რომ სოფლის მღვდლები მეტად გულ-გრილად ეკიდებიან სკოლის საქმეს. ორატორს მოჰყავს აუარებელი საჩივრები გლეხებისა: მღვდლები წლიურად 75 მანათს ღებულობენ სამღთო სჯულის მასწავლებლობაში და წელიწადში ექვსჯერ-შვიდჯერ თუ შეიხედავენ სკოლაში (ცენტრში და მარცხნივ: მართალია! მართალია!.. მარჯვნივ მოძრაობა). ორატორი აღნიშნავს, რომ ასეთ უბადრუკობის წინააღმდეგ ის საშუალება და გამოიგონეს, რომ მღვდლებს გაკვეთილობით გადაუწყვიტეს გასამრჯელო. მღვდლის ხელმძღვანელობით არსებული სკოლა სანუგეშოს არას გვაძლევს და ყოველ მართმორწმუნე ადამიანში მხოლოდ ღრმა ნაღველს იწვევს (დიდხანს ტაშს უკრავენ ოპოზიციასა და ცენტრში).

თავმჯდომარის ადგილს **შიდლოვსკი** იჭერს.

**ალექსეევი** მთელ საათს ლაპარაკობს. მემარჯვენენი და ნაციონალისტები ხშირად ტაშის ცემით აწყვეტინებენ სიტყვას. ორატორი პირველ-დაწყებით სკოლაზე „ინოროდცების“ აზრს არკვევს და რუსეთის ნაციონალისტთა მოსაზრებას ემყარება. ამ საკითხს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მისი გადაწყვეტა წინდაწინვე სწყვეტს საკითხს: რუსეთი დიდებულ და განუყოფელ სახელმწიფოდ დარჩება, თუ ავტონომიისა, ფედერაციისა და მოკავშირეთა სახელმწიფოდ გარდაიქცევა. ალექსეევი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ „ინოროდცების“ წარმომადგენელნი რუს-ნაციონალისტებს გამრუსებლად იხსენიებენ: რუსი ნაციონალისტები სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმს ანხორციელებენ და მებრძოლ ნაციონალიზმს არ ემხრობიან; იგინი საფრთხეში არ აგდებენ რუსეთის 109 ეროვნების არც კულტურულს, არც ნაციონალურსა, არც სარწმუნოებრივსა და არც ზნე ჩვეულების თავისებურებას. რუსი ნაციონალისტები სახელმწიფოებრივს იდეას ემსახურებიან იმდენად, რამდენადაც ისტორიული აუცილებლობა მოითხოვს განაპირა ქვეყნების სახელმწიფოს შუაგულთან შეხორცებას; ამისთვის-კი საჭიროა, რომ [illegible]ბელ და შემადუღებელ ცემენტად. (ნაციონალისტებისა და მემარჯვენეთა ხმები: ვაშა!)

ნაციონალისტები რუსეთის ყველა ეროვნებათ ეუბნებიან: დაე, მათ თავის ბავშვების სწავლება დედა-ენაზე ორის წლის განმავლობაში აწარმოვონ, შემდეგ რუსულს ენაზე გადავიდნენ და წმინდად და ხელ-შეუხებლად დაიფარონ თავისი მშობლიური ენა. ალექსეევი განმარტავს „ინოროდცების“ რუსეთის სახელმწიფო ენასთან ნამდვილს დამოკიდებულებას. ეხება იაბლონსკის აზრს, რომელმაც რუსულს ენას „სახაზინო“ უწოდა, იგონებს სტრაშევიჩის სიტყვებს, რომელიც რუსულს ენას აძლევს მხოლოდ კულტურულ მნიშვნელობას და არა სახელმწიფოებრივს: სტრაშევიჩმა განაცხადა, რომ რუსულს ენაზე წარმოთქმული ერთი ხმაც-კი ჩემში ზიზღსა და მძულვარებას იწვევსო. ორატორი სახელმწიფოებრივს საფრთხესა და პედაგოგიურს უსამართლობასა ჰხედავს მუსულმანთა სკოლებში მრავალ ენების სწავლებაში. ალექსეევი ილაშქრებს იაბლონოვსკისა, გარუსევიჩისა, მაკსუდოვისა, ენიკეევისა და ხასმამედოვის წინააღმდეგ. მას ინგლისის პარლამენტის დადგენილება მოჰყავს (სახალხო განათლების საკითხზე მოხსენების 21 ტომი) და ამბობს, რომ რუსეთის სასკოლო სისტემა უფრო ფართეაო; რუსეთის სისტემა საფრანგეთის სისტემასაც აჯარბებსო; იქ კი, სადაც პოლონელები ბატონობენ, სასკოლო საქმე მეტად უბადრუკ მდგომარეობაშია. ამის ნიმუშად ალექსეევი გალიციის სამოსწავლო საბჭოს საქციელს იხსენიებს. თუ რა სათუთად ეპყრობიან პოლონელები ხალხის სულს, საკმარისია გავიხსენოთ ჟურინში მომხდარი ინციდენტი საბრალო მიხეილ პოკანჩიკისა და მისის დისა (პოლონეთის კოლოს ხმები: სიცრუეა! სიცრუეა!) ორატორი იმოწმებს აზრს კაპუსტინისა და ფილევიჩისას, რომელთაც განაპირა ქვეყნებში არსებულ რუსული სკოლის საკითხი სწორედ ესმით, და მიჰმართავს ოქტომბრისტების მეგობრებს, სკოლის ნაციონალიზაცია უარ ჰყავით და მას რუსეთის სახელმწიფოებრივს ინტერესებს [illegible]. ალექსეევი ამბობს, რომ რუსეთის ძლიერი არწივი, რომელსაც ერთი ფრთა ჩრდილო ყინულის ოკეანეზე გადუფარებია, ხოლო მეორე—შავის ზღვის ტალღებზე, რკინის ნისკარტით, ფოლად ბრჭყალებით და ძლიერის მკერდით დაიფარავს რუსეთის საზღვრებში მოქცეულ 109 ეროვნებას და საერთო, კულტურულ მუშაობისკენ მიმართავს მათს ძალ-ღონეს (დიდ ხანს ტაშს უკრავენ მემარჯვენენი და ნაციონალისტები, რომელნიც ორატორს, ტრიბუნიდან ჩამოსვლისას ავაციებს უმართავენ).

**ბელორუსოვი** ხანგრძლივ ლაპარაკობს და ამტკიცებს, რომ სახალხო განათლების გავრცელებაში სარწმუნოების გავლენა მეტად მკრთალია. ხოლო ახალგაზდა რუსეთი, რომელსაც მტკიცედ სწამს თავისი ძალღონე და ხალხის მერმისი, შესძლებს რომ სკოლა თავის მომხრედ გახადოს. რევოლიუციური სული, ყოველგვარ დევნის მიუხედავად, მაინც ლელოს გაიტანს. (ტაშის ცემა უკიდურეს მემარცხენეთაგან).

**მღვდელი პოპოვ მეორე** ყველა პირველ დაწყებით სკოლის გაერთიანების მომხრეა, მაგრამ ამტკიცებს რომ სკოლის სარწმუნოებრივი მიდრეკილება მარტოოდენ იმით არ განისაზღვრება, რომ საეკლესიო სკოლების ხელმძღვანელობა სასულიერო უწყების ხელშია. გაერთიანების მერეც საეკლესიო სკოლები არც მოისპობა და არც დაქვეითდება, თუ-კი სულიერი მამანი სარწმუნოებრივ აღზრდის საქმეში ჯეროვანს გულისხმიერობასა და მუყაითობას გამოიჩენენ და სკოლის საქმეში დაკარგულ ნდობას აღიდგენენ. (მემარცხენენი დიდხანს ტაშს უკრავენ).

**სალათელიანცი** აღნიშნავს, რომ სასკოლო კანონ პროექტი იმავე პოლიტიკურის სულითაა განმჭვალული, როგორითაც ყველა სხვა საკითხი განაპირა ქვეყნების შესახებ. ეს პროექტები სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის საფრთხით მუდამ შიშ ქვეში იმყოფება. მაშინ როდესაც, ასეთი საფრთხე რუსეთის სახელმწიფოს არ მოელის, რადგანაც ეროვნება, რომელმაც რუსული ენა შექმნა, რიცხვით სამჯერ მეტია, ვიდრე მის ფარგლებში მოსახლე სხვა ეროვნებანი. კანონ-პროექტი აუტანელ მდგომარეობას ჰქმნის, რომელიც ბავშვისაგან მოითხოვს, რომ ენა და საგანი ერთს დროს შეისწავლოს. კანონ-პროექტიდან რამდენიმე მყვირალა ფრაზა რომ გამოვსტოვოთ, მაშინ მისი ადგილი სათათბიროში კი არა, მოსკოვის „პრიკაზის“ არქივშიაო (მარჯვნივ ძლიერი ტაშის ცემა).

**მარკოვი მეორე** აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების კომისიამ კანონ-პროექტის შემუშავებას 3 წლიწადი მოანდომა და ის კი ვერ მოგვცა, რაც სახალხო განათლებისათვის აუცილებლად საჭიროა — ფული. კანონ-პროექტის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ იგი სცდილობს სკოლები ერთს უწყებას დაუქვემდებაროს, გააერთფეროს, ხოლო ამ მიზანს საეკლესიო სკოლას უმსხვერპლებს. პროექტის განზრახვაა სკოლის გამგეობა ჩამოერთვას სახელმწიფოსაც, ეკლესიასაც და ადგილობრივ საზოგადოების ხელში გადავიდეს. კომისიამ განათლების ლიგას გადააჭარბა, იმ ლიგას, რომლის ხელმძღვანელობაც მასსონების ხელშია. სათათბირომ რომ ეს კანონ-პროექტი მიიღოს, მაშინ რუსეთის სახელმწიფოს რევოლუციონერთა გამგეობას დაუქვემდებარებს. ფონ-ანრეპისა, კოვალევსკისა და თ. დ კურაკინის მიერ შემუშავებული სასკოლო კანონ-პროექტი რუსის ხალხის გულსა და სულს განსაცდელში აგდებს და მხოლოდ მემარცხენე პარტიებისათვისაა ხელსაყრელი. ცხადია მემარჯვენენი მოითხოვენ, რომ პროექტის მუხლობრით განხილვას შევუდგეთ. ამ პროექტის ცხოვრებაში განხორციელებას მეორე რევოლუცია მოჰყვება, როდესაც ოქტომბრისტების კარმიდამოს ცეცხლი მოედება და მშველელი კი აღარავინ აღმოჩნდება. (ძლიერი ტაშის ცემა მარჯვნივ და ნაციონალისტებიდან).

პირადის შეკითხვისა გამო ლაპარაკობენ **მღვ. გეპეცკი** და **შინგარევი**.

**მომხსენებელი ფონ-ანრეპი** კადეტთა წინადადებას იცავს და რჩევას იძლევა, რომ ამ პროექტის განხილვის შემდეგ, სათათბირომ საყოველთაო სწავლის შემოსაღებად ფინანსიური მოსაზრებანი განიხილოსო.

კრიბას. მე-40 მუხლის ძალით, წარედგინა მოხსენება: გზათა მინისტრმა სარკინისგზო საპენსიო-შემნახველ კასსების დაარსების პროექტი რად დააგვიანაო?..

შემდეგი სხდომა ოქტომბრის 27-ს მოხდება.

---

**პრესის შევიწროება.** ჩქარა სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ

# ტყეში

ზეფირს ფოთლებით
კალთა ევსება,
ზამბახს ოცნებით
ეალერსება:
„გამომყე, წამო!“

ხარობს მიდამო.

ზეფირს ქნარი აქვს...
დაუგდე ყური!
დაგწვავს, მოგხიბლავს
ჰანგი ველური.
დაგძლევს ეკსტაზი

ციური, ნაზი.

ეოლ, მთა-ბარი
ნუ შეაწუხე,
ტყეს ტალღა ჩქარი
დაჰკარ... დაჰქუხე...
ზვირთი დასძარი..

ჰა, ჩემი ქნარი!

**გ. ტაბიძე.**

# მზის შვილი

(კ. ჰამსუნით).

ღამით მოსთოვა. მიწას თეთრი ზეწარი გადაეფარა.

მან გაიღვიძა. მხიარულ გუნებაზედ იყო, რადგანაც წინა დღეს მოულოდნელი ამბავი შეიტყო, რომელიც მას ხიფათისგან იხსნიდა... თავს ბედნიერ ახალგაზდად გრძნობდა. მხიარული სიმღერა შემოსძახა. მაგრამ მივიდა ფანჯარასთან და, ფარდა გადასწია თუ არა, დაინახა თოვლი. მისი სიმღერა წამს შესწყდა. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო მისი არსება. ზამთარი იმას ყოველთვის ეზარებოდა. არავას არ შეეძლო გაეგო, თუ როგორ იტანჯებოდა ის ამ დროს. თოვლი მისთვის სიკვდილის ხმასავით საშინელი იყო. იწყებოდა ზამთრის გაჭიანურებული ღამეები. მას არავითარი მუშაობა არ შეეძლო. მისი სული მთლად ზამთრის ძილში იფლობოდა.

ერთს ზაფხულს იგი სცხოვრობდა ერთს პატარა ქალაქში, საკმაოდ დიდსა და ნათელ ოთახში, სადაც ქვეითა ფანჯრების მინები კირით იყო შეთეთრებული, ფანჯრები მას თოვლს აგონებდა. ჰსურდა თვალი მიეჩვია, მაგრამ ვერ შესძლო დაეძლია უსიამოვნო გრძნობა, რომელსაც ეს სანახაობა მასში იწვევდა.

ხშირად თავის თავსვე არწმუნებდა, რომ თოვლსაც და ყინულსაც თავის დროზე თავისებური სიმშვენიერე თანა სდევს, ზაფხულიცა და ზამთარიც არის გამომხატველი იმ სამარადისო იდეისა; უკანასკნელიც ღვთის გაჩენილია, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ამის შემდეგ მას პარიზში მოუხდა ცხოვრება. როდესაც ქალაქში რაიმე დიდი დღესასწაული იყო, მას უყვარდა ქუჩებზე ხეტიალი. აკვირდებოდა ქუჩის ცხოვრებას. ეს ხშირად ხდებოდა შუა ზაფხულში, საღამო ჟამს, როცა ხეები შემოსილი იყო მწვანითა და ჰაერი გაჟღენთილი—დიდ ბაღებში გადაშლილ ყვავილთა სურნელებით.

ქუჩები გაჩაღებულია ელექტრონის სინათლით. ადამიანები მხიარულად ფუსფუსებენ, სეირნობენ.

ისიც ოთახიდან იმ აზრით გამოდიოდა, რომ მხიარულს ბრბოს შეერთებოდა და საერთო ზეიმში მონაწილეობა მიეღო. მაგრამ ნახევარ საათში უკანვე ბრუნდებოდა. რისთვის? მის ხსოვნაში იხატებოდა სურათი, რომელიც მას შორეულ მხარეს აგონებდა. კონფეტტი, რომელსაც ელექტრონით გაბრწყინვებულ ქუჩებზე ადამიანები ერთმანეთს აყრიდნენ, მას თოვლს აგონებდა და მის მხიარულობასაც ფრთა ეკვეცებოდა.

ასე მოსდიოდა ყოველ წელიწადს.

ღამით მოსთოვა. ის ფიქრობდა, თუ როგორ იყინებოდნენ ფრინველები ტყეში, როგორ იტანჯებოდნენ იის ფესვები მიწაში. აბა რითი საზრდოობს ახლა კურდღელი? მას სახლიდან გამოსვლა არ შეეძლო. რამოდენიმე თვის განმავლობაში ოთახიდან არ გამოსულ.

ბოლთასა სცემს ოთახში, ან დაჯდება და ფიქრებს მიეცემა. არვის ფიქრადაც არ მოსვლია, თუ როგორ იტანჯებოდა იგი ასეთის კარჩაკეტილობით.

ის სრულიად ახალგაზდა იყო, საკმაოდ ჯანსაღიც, რომ ცხოვრების ფერხულში ჩაბმულიყო. ასეთ უბრალო ჟინის წყალობით კი იძულებული იყო ოთახში ჩაკეტილიყო და ფიქრებს მისცემოდა. ამასთანა დროს მეტი არ იქნებოდა, რომ მის ცოლს ბავშვებისათვის ნასყიდი ხილი შკაფში ჩაეკეტა; თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გამოაღებდა, წინ დაიდებდა რამოდენსამე ვაშლს, ყურძენს; ჯერ სტკბებოდა მათის მზერით, ვინაიდან უკანასკნელი სამხრეთს მოაგონებდა, შემდეგ კი შესჭამდა.

ამ დროს მისი ხასიათი, გემოვნებაც კი სრულიად იცვლებოდა.

საერთოდ მას წერილებზე პასუხის გაცემა არ უყვარდა. ახლა კი სწერდა ისეთ პირებსაც კი, რომელთათვის სხვა დროს პასუხი არ უნდა მიეცა. ან და კითხულობდა, ლაპარაკობდა სრულიად უმნიშვნელო რამეებზე. ამასთან რაღაც ბუნდოვანად გრძნობდა, რომ ბოლოს დაღუპვა ახლოვდება და იმ წერილებით, რომელთაც ხან ჩრდილოეთით, ხან სამხრეთით აგზავნიდა, კიდევ რამოდენსამე ხანს არ სწყვეტდა კავშირს ცხოვრებასთან. სხვაფრივადაც მასში ცვლილება ხდებოდა. ის ხშირად სტიროდა კიდეც. ხან და ხან კი სრულ თავ-დავიწყებას ეძლეოდა. ასეთი ნაზი აგებულობის პატრონი, ზაფხულში, უმეტეს ნაწილად, მხიარულ გუნებაზედ იყო.

ზამთრის ბნელ, უფერულ დღეებში კი მუდამ დაღვრემილი იყო. ერთის მდგომარეობიდან გადასვლა მეორეში ისე უეცარი და სწრაფი იყო, როგორც მარტის ამინდი. ხშირად ის დაიჩოქებდა თავის უმცროსს ბავშვის წინ და ცხელის ცრემლით ევედრებოდა უფალს მის ბედნიერებაზე. მას სულით და გულით ჰსურდა, რომ მისი შვილი მისსავით საზოგადო მოღვაწე არ გამოსულიყო, საზოგადო მოღვაწეთა სულიერი საუნჯე ხომ მუდამ ამღვრეულია. ისინი ფუჭდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობენ, ბრბოში მათ მაშინვე გაარჩევენ. ყოველის მხრით ესმით, რომ ყველანი მათ ღირსება-ნაკლულევანებაზე მსჯელობენ. ყველა ამის შემდეგ, ნუ თუ გასაკვირველია, რომ ისინი რაღაც არა—ბუნებრივ არსებად იქცევიან? არა—ბუნებრივია მათი სიარული, მიხვრა მოხვრა, ერთის სიტყვით, ყველაფერი არაბუნებრივ ელფერს ღებულობს არსებაში. ამიტომაც მისმა შვილმა მიწის მუშაობა უნდა შეისწავლოს,—უკანასკნელს ხომ არაფერი არ შეედრება,—რის შემდეგაც ის იძულებული არ იქნება უცხო ქვეყანაში იცხოვროს. ოხ, რა რიგ ამაოა ცდა იმ ადამიანისა, რომელთაც უცხო მიწაზე ჰსურთ ბუდის გაკეთება! უცხოეთში სხვისი ლაპარაკი კარგად არ გესმის. ვერ შეეგუები, ვერ შეესისხლ-ხორცდები უცხო ქვეყანას. იქაური ცა სხვანაირად დაგყურებს. ვარსკვლავებიც სხვანაირად ციმციმებს. ყვავილებს დაჰხედავ, იმათაც სხვანაირი ელფერი ადევთ. ფრინველებიც სხვა რიგად ჭიკჭიკობენ..

თვითონ ისიც ინსტიქტიურად ჰგრძნობს, რომ მოწყვეტილია მშობელს ნიადაგს. ვინ იცის, ეგებ შორეულ წარსულში, ის თბილის ქვეყნის შვილი იყო. 32 ცელსიუსია. ის ამჩნევს, რომ ყინვის გაძლიერებით მიწაზე ყოველი სულიერი ინაბება. თავის ფანჯრიდან ის პირდაპირ უყურებს მახლობელ ტყისკენ მიმავალ ფართე გზას, რომელზედაც ადამიანები ქალაქს მიემგზავრებიან და ისევ ბრუნდებიან. ტყეში ერთი ფოთოლიც კი არსად ირხევა, სადღაც კიდევ ფართხალებს საბრალო ჩიტუნია. გარინდებულ ბუნებას სუნთქვა შეუწყვეტია. სიო არ სისინებს. ყველაფერი გაშეშებულა. ბუნებას თეთრი სუდარა მოუხვევია. გზიდან ზარის წკარუნი მოისმის. ვიღაც ქალი და კაცი მარხილებით ქალაქს მიემგზავრებიან. მგზავრების პირდაპირ ცაზე ღრუბლის ნაფლეთია გაკრული. ამათ ალბად არასოდეს არ უნახავთ, თუ როგორ იზრდება ვაზი. მათ სახეზე ამინდის გამო უკმაყოფილების ნატამალიც-კი აჩნიათ. ისინი თავიანთ პატარა საქმეებისათვის ქალაქს მიდიან. ხშირად უჯავრდებიან ცხენს; როდესაც შეამჩნევენ, რომ უკანასკნელი ძლიერ ნელა მიდის. ეს სანახაობა მზის ქვეყნის მცხოვრებს ხომ სიცილად არ ეყოფოდა. ეს მგზავრები კი ასე გულგრილად უყურებენ ამ ცივს ამოცანას, რომელსაც ირგვლივ ხედავენ. და არც უკვირთ, ვინაიდან ისინი თვით თოვლის შვილები არიან, აღიზარდნენ თოვლიან-ყინულიანს მხარეში.

ღარიბი მხატვარი უყურებს თავის პატარა ქალიშვილს, რომელიც ეზოში თოვლით თამაშობს. თავიდან ფეხამდი გაფუნთული მხიარულად დახტუნავს, თითქოს თოვლს აგუნდავებს. ციგაზე დასრიალებს.

ის უყურებს ყველა ამას და გასაოცარ ტანჯვას განიცდის. ბალღი მას ეძახის. თან აჩვენებს ციგას, რომელზედაც ბაწარი გაწყვეტია. ის წამსვე ჩაირბენს და უკეთებს ბაწარს. კიბეზე შეჩერდება უპალტოოდ და უქუდოდ. „არა გცივა“?—ეკითხება პატარა გოგონა, მაგრამ მას ძლიერ არა სცივა. ხელები სულ თბილი ჰქონდა. მხოლოდ ყელში სჩხვლეტდა რაღაცა. მან შეამჩნია, რომ შორი-ახლო მდგარი ვერხვი სრულიად გამოცვლილა, გამკდარა. „ეს ყინვამ ქნა“—გაუელვა მას თავში.

იქმნება შეკითხვა რუსეთის პრესის შევიწროების შესახებ. შრომის-ჯგუფელთ უკვე შეუკრებიათ აუარებელი მასალა პრესის მდგომარეობის შესახებ. მათ ჩამოთვლილი აქვთ ყველა ის რეპრესიები, რომელიც მიუღიათ პრესის წინააღმდეგ პირველ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ. შრომის-ჯგუფელთ განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ პროვინციისთვის. შეკითხვას ამ სახით შეიტანენ: „იცის თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომ ცენტრალ და ადგილობრივ ადმინისტრატორთა მოქმედება პრესის მიმართ პირდაპირ ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმულ თავისუფლებას?“

**რედაქტორი სამართალში.** სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ი. გ. გოლოლობოვმა სამართალში მისცა „ბირჟევია ვედომოსტი“-ს რედაქტორი, რომელმაც გაზეთში ცნობა დაბეჭდა, ხმები დადისო, რომ გოლოლობოვს მონაწილეობა აქვს მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრის კარავაევის მოკვლაში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ოქტომბერს.

### საზღვარ-გარედ

**პარიზი.** საფრანგეთის სანაპირო ადგილებში ძლიერი ქარიშხალი და ნიაღვარია.

**ლონდონი.** ულსის მთაიან ოლქში არეულობა განახლდა. გაფიცულნი მთელის ოჯახობით დაესხნენ მემანქანეებს, მაღაროს მუშებს და ქუჩებში მანიფესტაციები გამართეს. პოლიციელებს ქვები დაუშინეს. დასამშვიდებლად ჯარს მოელიან.

**ლვოვი.** უკრაინელ რწმუნებულთა კრებამ პოლონელთა მიერ წარდგენილი საარჩევნო რეფორმა უარჰყო. სეიმის სხდომაზე უკრაინელებმა ლევიცკიმ და სკვარკომ მოითხოვეს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადაიდოს და სხდომა შესწყდეს, რადგანაც საარჩევნო რეფორმის საკითხი ძრიად რთული და მნიშვნელოვანია. უკრაინელობის წინადადებას რუსთა სახალხო პარტიის წარმომადგენელნი მიემხრნენ, ხოლო პოლონელებმა ხმა არ მისცეს. საშინელი ხმაურობა ასტყდა უკრაინელებში. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგნენ.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** სათათბიროს მეშვიდე განყოფილებამ ოდესის ახალ დეპუტატის ბარონ რენოს არჩევნები კანონიერად ვერ იცნო.

ვაჭრობის სამინისტროში საგანგებო კომისიამ კავკასიის შავი-ქვის წარმოების მფარველობაზე თათბირი დაიწყო.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ განმარტა, რომ 1909 წელს ევროპასა და აზიაში გასაგზავნ დეპეშებზე დაწესებული დაკლებული ფასების ქივასა და ბუხარაშიაც შემოიღონ.

**ჰელსინგფორსი.** ვაზასის სასამართლომ, სამაზრო სასამართლოს მიერ განხილული საქმე 1905 წელს ჟანდარმის სარდას მოკვლის თაობაზე, კვლავ განსახილველად დააბრუნა. ეს საქმე მეოთხედ ირჩევა.

**მოსკოვი.** ღვთისმეტყველების პროფესიარი ელეონსკი გარდაიცვალა.

**იალტა.** მშვენიერი, თბილი დარებია, ვარდი და ია გაიშალა, სითბო 30 გრადუსზე ავიდა.

**ჰელსინგფორსი.** ფინლანდიაში შვედების პარტია შვეციის განსვენებულ მეფის გუსტავ-ადოლფის ხსოვნასა დღესასწაულობს.

**დონის როსტოვი.** ალექსეევის საზოგადოების მაღაროების კასას ექვსი უცნობი დაეცა და გაძარცვა. „ურიადნიკი“ და კასირი მოჰკლეს.

## მშობელთა საყურადღებოდ

### საბავშვო ბაღი.

ყველა შეგნებულ ერს, ვისაც მომავალი სწამს, შვილების აღზრდა უპირველეს საკითხად მიაჩნია ცხოვრებაში. აწინდელმა ცხოვრებამ ბევრი საყურადღებო საკითხი წამოაყენა. მარტო დაწყებითი სკოლები სრულიად საკმარისი არ არის, თუ არ მიექცა ყურადღება სხვა მიზანსაც, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს პირველ დაწყებითს სკოლებთან. გამოცდილებამ და საკითხის ყოველის მხრივ განხილვამ დაანახვა ყველას, რომ აწინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებში, ხალხის განათლების საქმეში საჭირო ზრუნვა ბავშვების აღზრდაზედ სკოლაში მიბარებამდისაც.

ცხადად გამორკვეულია ერთის მხრით, რომ პირველი ექვსი წლიწადი ბავშვის ცხოვრებაში, ვიდრე ის სასკოლო ასაკისა შეიქმნებოდეს, ბევრს რასმე კარგსაც და ცუდსაც შესძენს ბავშვისა და საზოგადოების მომავალს ცხოვრებას, ამიტომ ამ ასაკში ბავშვის უყურადღებოდ დატოვება, როგორც ჩვენშია, ყოვლად შეუწყნარებელია. პირიქით ის დრო, ვიდრე ბავშვი სკოლაში მიებარებოდეს, საუკეთესო დროა ბავშვის ცხოვრებაში კეთილ მიდრეკილების, ჩვეულებისა და ადამიანურ თვისებათა ჩასანერგავად. ეს დრო ბავშვის ცხოვრებაში ითხოვს უფრო მეტს და, იმავე დროს, სერიოზულს ყურადღებას. დღიდან ქვეყნად გაჩენისა, ბავშვი იღებს მის გარშემო არსებულის ქვეყნიდან სხვა და სხვა შთაბეჭდილებებს. ეს შთაბეჭდილებანი უღვიძებენ ბავშვს მისს ფიზიკურს, გონებრივსა და ზნეობრივს ნიჭს და იწვევენ სამოქმედოდ. ეს შთაბეჭდილებანი შეიძლება საკეთილოც იყვეს და საზარალოც.

თვითონ სკოლის ცხოვრება აუარებელს ფაქტს იძლევა ბავშვების ცუდის ჩვეულებისას, რაც მათ შეუთვისებიათ სკოლაში მიბარებამდის და რომელთან საბრძოლველად სკოლა ხშირად უძლურია. საჭიროა ამ აუარებელ შთაბეჭდილებაში ხელმძღვანელობა და მათი გამოყენება ბავშვის ბუნებრივის ძალის ჰარმონიულად განვითარებაში. ჩვენში ბავშვების აღზრდა და მოვლა სკოლაში მიბარებამდის მარტო სმა-ჭამასა და ჩაცმა დახურვაში გამოიხატება; ჩვენი მშობლები მარტო ნივთიერ მზრუნველობას უწევენ თავიანთ ნორჩს შვილებს; ბავშვის სული-კი, რომელიც პირველ დღიდანვე ითხოვს საზრდოს, უყურადღებოდ რჩება. რაც ბავშვს გარშემო არტყია, ყველაფერი მისთვის ბურუსით არის მოცული, რომელშიაც განუვითარებელი გრძნობა ვერ არჩევს საგნებს. სწორედ აქ არის საჭირო ხელმძღვანელობა და ბავშვის ბუნების ინსტიქტიურად გამოჩენის მიმართვა სასურველის გზით, რაც შეადგენს აღზრდის საფუძველს. მაგრამ ეს საფუძველი აღზრდისა ჩვენებურს ოჯახში სრულიად არ არსებობს; ყველა მშობელს არ შეუძლიან აღზარდოს თავისი შვილები; ზოგს დრო არ აქვს, ზოგს ცოდნაც ხელს არ უწყობს და ზოგიც სრულს დაუდევრობას იჩენს. ამ სახით ჩვენი ბავშვები სკოლაში მიბარებამდის მთლად მოკლებულ არიან სერიოზულ აღზრდას და რიგიან მოვლა-პატრონობას, რაც შეადგენს არსებითს საჭიროებას ჩვენს დროში. და აი ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჩვენებურ მანდილოსანთა ერთმა წრემ განიზრახა ქართველ ბავშვებისათვის **საბავშვო ბაღის** გამართვა, სადაც მცირე წლოვან ბავშვებს წესიერად აღზრდიან, მოუვლიან და მიაწვდიან მათის გონების შესაფერისს საზრდოს. წინასწარ მოფიქრებულს, მიზნის შესაფერისს საშუალებას და თან და თანობას, რასაც საბავშვო ბაღის ხელმძღვანელნი გამოიჩენენ მცირე-წლოვან ბავშვების აღზრდაში, მოკლებულია თითოეული დედა, რომელსაც არ აქვს ჩვეაში საკმარისი მომზადება, ხშირად მიდის გაურკვეველის გზით, მიმართავს სხვა-და-სხვა საშუალებას, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ აკმაყოფილებს ბავშვის მოთხოვნილებას.

საბავშვო ბაღს ჩვენებურ ბავშვებისათვის, რომელნიც მოკლებულ არიან შინაურ აღზრდას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ საბავშვო ბაღში აღზრდილს ბავშვს, რომელსაც უხსნიან მშობლიურს ენაზედ გარშემო არსებულს ბუნებას, ძლიერ გაუადვილდება სწავლის მიღება შემდეგს საფეხურზედ. საბავშვო ბაღში, თავის ტოლებში ბავშვებს თვალწინ ეშლებათ ფართო მოედანი თავიანთ ბუნებრივის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და საზოგადოებრივ ჩვეულებათა განსავითარებლად, რადგანაც ამ მხრით ოჯახს არ შეუძლიან საკმარისად მოაწყოს ბავშვის ცხოვრება, მაგრამ შეერთება და ურთიერთ შორის მოქმედება ოჯახურ მოწყობილობისა და წესიერად დაყენებულ საბავშვო ბაღისა უზრუნველ ჰყოფენ ბავშვის ბუნებრივ ნიჭის ჰარმონიულად განვითარებას და ჩასდგამენ პატარა არსებაში კანონიერი აღზრდის მტკიცე საფუძველს, რაც ფრიად საჭიროა არა მარტო პირადის ცხოვრებისათვის, არამედ საზოგადოების პროგრესიულად განვითარებისათვისაც.

სიამოვნებით ვეგებებით ჩვენ ქალთა წრის მიერ დაწყებულ საქმეს საბავშვო ბაღის გამართვისას, რომლის ნებართვა მთავრობისგან უკვე მიიღეს და ამ დღეებში შეუდგებიან საქმის განხორციელებას. სასურველია, რომ საქმის მოთავეთ ხელი შეუწყოს ჩვენმა საზოგადოებამ და მშობლებმა; მშობლები ნუ დაიზარებენ თავიანთ ნორჩს „კოკრების“ გაგზავნას ბაღში გასაფურჩქვნად და ასაყვავებლად.

მშვენიერია სანახავად ბაღი აყვავებული და შემკული სხვა-და-სხვა ხეხილითა და ვარდნარით, მაგრამ უმშვენიერესია ის ბაღი, სადაც თავი მოუყრიათ ფერად-ფერადს ცოცხალ ყვავილებს და თავისის ტიკტიკით, სიმპატიით უსულოსაც კი ასულიერებენ, მკვდარსაც აცოცხლებენ და ცოცხალსაც მომავლის ნუგეშს უნერგავენ გულში. დასასრულ თვით ამ სიმპატიური საქმის მოთავეებსაც ვუსურვებთ მხნეობას, რომ მათ ხელში ეს ტურფა ბაღი არ დამჭკნარიყოს, არამედ საამოდ გაშლილიყოს, გაფურჩქვნილიყოს და მისი ნაყოფი მარადმოდ დასდებოდეს ჩვენს გადაგვარებულს ოჯახსა და საზოგადოებას.

ლ. ბოცვაძე.

## ახალი ამბები

### ტფილისი

◆ **ილიას საღამო.** დღეს, 27 ოქტომბერს, ილიას დაბადების დღეს, ქართულს თეატრში, ილიას სახსოვრად, ფრიად საინტერესო საღამო გაიმართება. საღამოს პროგრამა მრავალ მხრივია და შესდგება ექვსის დიდის განყოფილებისაგან. პირველი განყოფილება: ილიას სურათის წინ კიტა აბაშიძე სიტყვას წარმოსთქვამს, ნ. ერისთავი ი. ევდოშვილის ლექსს წაიკითხავს და მომღერალთა გუნდი იმღერებს; 2) დედა და შვილი, 3) ცხოველი სურათი „კაკო ყაჩაღი“-დან ურმულით, 4) სამუსიკო და სალიტერატურო განყოფილება ქართველ მწერლების მონაწილეობით და სხვა. იმედია ქართველი საზოგადოება პატივსა სცემს დიდებულ ილიას ხსოვნას და მის სახსოვრად გამართულს საღამოს შესაფერის ყურადღებით მოეპყრობა.

◆ **უწ. სინოდის ბრძანება.** საქართველოს სასინოდო კანტორამ სინოდის ბრძანება მიიღო, რომლითაც დღეიდან სასტიკად ეკრძალებათ ბერებსა და მონაზონებს რაიმე შეწირულებათა მოგროვება.

◆ **სასულიერო უწყებაში.** ტფილისში მიღებულ ცნობებით, საქართველოს სასინოდო კანტორის წევრი არქიმანდრიტი პიროსი ალავერდის ეპისკოპოსად ინიშნება.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 25 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მორიგი კრება მოხდა. საბჭომ დაადგინა: 1) მიეცეს 200 მან. შემწეობა ქალაქის მუშის ჩიქოვანის ქვრივს, 2) მიეცეს ერთდროებითი დახმარება 453 მან. 50 კ. ქალაქის მუშის კარაპეტ ალმოიანცის ქვრივს, 3) მიეცეს იჯარით ქალაქის მიწა „ნავთის ქალა“ მოიჯარადრეს ტერ-მარქაროვს და 4) გადაეცეს კავკასიის უნივერსიტეტის მომწყობ კომიტეტს 100.000 მან. უნივერსიტეტის მოსაწყობად; თუ უნივერსიტეტი ხუთის წლის განმავლობაში არ გაიხსნება, მაშინ კომიტეტი მოვალეა, ფული ქალაქს დაუბრუნოს. დასასრულ საბჭომ აირჩია ქალაქის უძრავ ქონებათაგან გადასახადის შემკრებ საგუბერნიო საკრებულოს 3 წევრი.

◆ **ექიმის ტურიაშვილის საქმე.** მოკლე ხანში ტფ. ოლქის სასამართლოს სესია სიღნაღში გაარჩევს ექიმის ტურიაშვილის საქმეს. ტურიაშვილს ბრალდება მასთან სამკურნალოდ მისულის ყრუ-მუნჯის მონაზონის გაუპატიურება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** 25 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოხდა, რომელზედაც გადათვალიერებულ იქმნა უნივერსიტეტის გამგეობის წარსულ მოღვაწეობის ანგარიში. ამ ანგარიშს გამგეობა მოკლე ხანში უნივერსიტეტის წევრთა საერთო კრებას წარუდგენს.

◆ **სასამართლოში.** 25 ოქტომბრისათვის ტფ. სასამართლო პალატაში დანიშნული ოზურგეთის მაზრის მცხოვრების კ. ჟღენტის საქმე, უმთავრეს მოწმეთა დაუსწრებლობისა გამო, სხვა დროსთვის გადაიდო. მას ბრალდება მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციაში მონაწილეობა.

◆ **გადასახლებულნი.** 25 ოქტომბერს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო გეორგ სარქისას ძე ოსენოვი და ვასილი ზაქარიას ძე ბელოკონოვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

◆ **ფრენა.** ავიატორის კებუროვის საფრენი მანქანა, რომელიც 24 ოქტომბერს დაზიანდა, ამ დღეებში შეკეთებულ იქმნება და 31 ოქტომბერს კებუროვი კიდევ გაფრინდება.

◆ **სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.** დღეს თათბირი ექმნებათ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრებს, რომლებიც განიხილავენ საზოგადოების მოქმედების ანგარიშს და დაასახელებენ კანდიდატს საზოგადოების მდივნის თანამდებობაზე.

◆ **სენატის განმარტება.** ტფ. გუბერნატორმა სენატისაგან მიიღო განმარტება იმის შესახებ, რომ—თუ ქალაქის მოურავი გადადგა სამსახურის ვადის შესრულებამდე, მაშინ მის ადგილს უნდა არჩეულ იქმნეს სხვა პირი იმ ვადით, რომელიც სამსახურისათვის დარჩენილი აქვთ საბჭოს ხმოსნებს.

◆ **საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში.** 24 ოქტომბერს საზოგადოების კრებაზე აირჩიეს სარევიზიო კომისიის ერთი წევრი და სამი კანდიდატი. არჩეულ იქმნენ: წევრად—ა. ა. ტერ-აბრამოვი, კანდიდატებად—ბ-ნნი სტეფანოვი, აკოფოვი და მელკუმოვი.

◆ **ქართული კლუბი.** განზრახულ ქართულ კლუბის ახალმა მამასახლისებმა შუამდგომლობა აღძრეს თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს წინაშე, რომ ქართულს კლუბს შენობა დაუთმოს თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ქართულის თეატრის გვერდით.

◆ **კავკასიის მუზეუმი.** თანახმად უმაღლესის ბრძანებისა, 5.000 მანეთი გადაიდო ხაზინიდან კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ახალ შენობის გეგმისა და ხარჯთ აღრიცხვის შესადგენად.

◆ **თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ხსოვნა.** ტფ. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ავჭალის ქუჩას ჩერქეზიშვილის ქუჩა უნდა დაერქვას.

◆ **მუშტაიდი** ტფ. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედებისა და მიწადმო-წყობის მთავარმმართველის კავკასიის რწმუნებულის წინაშე, რომ მუშტაიდის ბაღი ქალაქს იჯარით გადაეცეს.

◆ 25 ოქტომბერს ჟანდარმიამ ტფილისში შეიპყრო 73 უპასპორტო.

◆ 25 ოქტომბერს, საღამოს $9^1/_2$ საათზე, ბაქოს ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში გახვეული ბავშვი მამრობით სქესისა [illegible] ლოვებით ორის დღისა. [illegible] საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

## პატარა ფელეტონი

### ალკიბიადესი

ალკიბიადესი მოწყენილი იყო. გამვლელსა და გამომვლელს სასაცილოდ იღებდა.

— მაგას ტყვილად დასცინი—შეეკამათა ერთი მეგობართაგანი—მაგი ჭკვიანი კაცია!

გულის ამრევ დრამებს სწერს; ყურის შემაძრწუნებელ სიტყვებს ლაპარაკობს!.. ჩაიცინა ალკიბიადესმა.

— მთელი ათინა იცნობს.

— არა თუ ათინა; მთელი საბერძნეთი ალაპარაკდება ხვალვე, თუ კი მოვინდომე—უპასუხა ალკიბიადესმა.

— შენზე ეხლაც ლაპარაკობს...

— რაზედაც მსურს—გააწყვეტინა ალკიბიადესმა.

— ასე იცი დაჩემება.

— აი ამ ძაღლზე, თუ მსურს დღესვე სოკრატიც ილაპარაკებს და ტერსიტესიც, ასპაზიაც და დიოგენიც...

— სცდები!

— აი ვნახოთ! და ალკიბიადესი მიუახლოვდა მათხოვარს, რომელსაც კუდ-ჩამოვარდნილი, მუნიანი, წელში გაწყვეტილი ძაღლი ახლდა.

— მომყიდე ძაღლი, ოღონდ ბევრს ნუ მთხოვ.

— რაც გნებავს, ის მიბოძე.

— გეყოფა ათასი დრახმი?

მათხოვარი მიხვდა, რომ რაღაც არა-ჩვეულებრივი ხდებოდა და მონურად, მათხოვრულად მიმართა ალკიბიადესს:

— ნუ დამღუპავ! შენთვის რამდენიმე მინა*) არაფერია, ულამაზესო და უბედნიერესო, მე კი... მე საწყალი ვარ.

— კარგი, ორი ათასი იყოს!

— ნუ დამჩაგრავ, ღმერთების საყვარელო, მაჩუქე კიდევ რამე.

— გადაუთვალე სამი ათასი.—უბრძანა მხლებელს ალკიბიადესმა.

მათხოვარი თხოვნიდან ვაჭრობაზე გადავიდა: იფიცებოდა, ამტკიცებდა, რომ ასეთს ძაღლს მთელს საბერძნეთში ვერ იპოვიდა ადამიანი; რომ მთელი იმედი მისი და მისის სამის ბრმა დისა, კუნტის დედისა და კეთროვანის ძმის ამ ძაღლში იყო; ბოლოს ყვირილიც კი მორთო, ალკიბიადესს არ ეკადრება ბეჩავი მათხოვარის სიღარიბით ისარგებლოს და ოხერ-ტიალს იაფად გამოართვას საქონელიო. ასეთი ვაჭრობა ჭეშმარიტად მეკობრეობაზე უარესიაო, ყვიროდა მათხოვარი.

ალკიბიადესი იდგა. გულში ეცინებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. „ყოველი ბერძენი არტისტიაო“—ჰფიქრობდა.

ხალხი შეგროვდა. ერთი ღრიანცელი ასტყდა. ვიღამაც ხუმრობით, თუ გულ-წრფელად, ალკიბიადესზე მეტი ფასი შეაძლია ძაღლის პატრონს.

ბოლოს ძაღლი ალკიბიადესს დარჩა შვიდ-ათას დრახმად.

ჯერ კიდევ გზაზე ალკიბიადესს წამოეწია სოკრატესი. ბაასი გაჩაღდა. ძაღლი იყო უმთავრესი საგანი სჯაკამათისა. დაწვრილებით, სამაგალითო ლოგიკურის მსჯელობით, გაარჩიეს სული ადამიანისა და სული ცხოველისა, განსაკუთრებით-კი ძაღლისა: სოკრატესმა ნათელზე უფრო ნათელი ჰყო, რომ სილამაზეს, რომელიც ალკიბიადესში ჰსუფევს, უნდა მოჰსურვებოდა თან ჰყოლოდა სიმახინჯე, რომელიც განხორციელებულიყო ძაღლში; რომ უდიდესი მშვენიერება, ისე, როგორც უდიდესი სათნოებაც, თავის თავის მხოლოდ სრულის წინააღმდეგობის ხილვითა და შესწავლით შეიგნების.

სახლში მოსულთ მხატვარი დახვდა და მოწიწებით ნება ითხოვა ძაღლის სურათის გადაღებისა.

შუა „ნადიმში“ რომ იყვნენ, მსახური შემოვიდა და მოახსენა ალკიბიადესს: „ასპაზია გთხოვთ დღეს საღამოს ეწვიოთ თქვენის ახლად შეძენილის ძაღლითაო.

— მოახსენე მშვენიერებისა და ჭეშმარიტების შემაერთებელს, სანამ არ დაჰბანდნენ და სურნელებას არ აცხებდნენ ვერ გავბედე შეურაცხმეყო შენი თვალთა შუქი-თქო, თორემ დილითვე მინდოდა შემოსვლა: საღამოს ვეახლები.

ათენის მოკავშირე ქალაქში სახალხო ორატორი გაბოროტებული იძახდა: „ჩვენ, მოკავშირეები უკანასკნელს ობოლ ბავშვის მარჩენალს, თხასაც კი ვყიდით, რომ საერთო მოკავშირეთა ხაზინაში შევიტანოთ, ალკიბიადესი კი 7,000 დრახმას ერთს ძაღლში აძლევს“...

— „რომელიც შენზე უკეთესია უსათუოდ“—ჩაუმატა ვიღაც არისტოკრატმა.

---

ღამით ამინდი შეიცვალა. ის წამოჯდა ლოგინზე მოელოდა თბილს ამინდს, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ისევ მობრუნდებოდა ზამთარი და დიდხანს გაგრძელდებოდა კიდევ. მაგრამ მის სულში იმედის სხივმა შეაშუქა.

ზამთარი შედრკა... დათბა.. ნიაღვარი მაღლობიდან ქშუილით დაეშვა. მის გულში იმედის ნაპერწკალი უფრო და უფრო ღვივდებოდა. ქშუილი იგი მის სულს მუსიკასავით ატკბობდა. ეს ხომ გაზაფხული უკრავდა თავის ოქროს საყვირს. ერთხელ ღამით ფანჯრებზე რაღაც ტლაშუნი შემოესმა: ეს იყო წვიმა.

ის აღფრთოვანებული გაეშურა თავის ატელიესკენ (სახელოსნო), სადაც საჩქაროდ ლამპარს მოუკიდა. მის სულის სიღრმეში იფეთქა კაეშანმა საყვარელ ზაფხულზე. მთელი მისი არსება გამოფხიზლდა ზამთრის ძილისგან. გამოერკვა შეხუთულ მდგომარეობიდან... და სამუშაოს ხელი მიჰყო. ხმები, სურათები თბილი ქვეყნიდან მას გარს ეხვივნენ, მის წინ იშლებოდა მშვენიერი პეიზაჟი ისე გარკვევით, ნათლად, როგორც-კი შეიძლება მშვენიერების ხილვა. ეს იყო ზღაპრული ღელე. შუაში იდგა ადამიანი, ნორჩი გვირგვინი ქმნილებისა, რომელიც თვალს ავლებდა მსოფლიოს.

ის ხომ ძლევამოსილი ღმერთი იყო, მოვლინებული განთიადისას. მის გარშემო გაფენილა თვალ წარმტაცი, მრავალ ფეროვანი, ფინდაზად გარდაშლილი მდელო, მოსილი სხვა და სხვა მცენარეულობით... გზა მოსჩანდა. ნორჩი ფოთლები ისე ერხეოდა, თითქოს სუნთქავსო. აგერ ვენახიც. ადამიანის ახლოს საქონელი სძოვს მწვანე ბალახს, ისე რომ ხრამუნი ესმის. მთის თხემზე ფრინველთა გროვა ზის. მათ მახვილივით მაგარი ფრთები და ცეცხლივით მწველი თვალები აქვთ. გარემო გაბრწყინვებულია ამომავალ მზის სხივებით, რომელიც ადამიანს გარს არტყია კდემამოსილ შარავანდედად.

ის დილამდის მუშაობდა. ცოტა ხანს წაიძინა. შემდეგ ისევ დაიწყო მუშაობა. იმ წამს მას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. მას რაღაც იდუმალი ძალა იტაცებდა, მის აღმაფრენას ფრთას ასხამდა. ხუთი დღის განმავლობაში მან დასწერა ესკიზი სურათისთვის, რომელსაც ერქვა: „მზის შვილი“.

—

მდაბალი, უწვერ-ულვაშო, შავთმიანი, მელოტი კაცი მდუმარედ ზის და სხვის ლაპარაკს ყურს უგდებს დაკვირვებით. დროგამოშვებით ახველებს, ხელებს ტუჩთან მიიტანს თუ ვინმე მიუბრუნდება კითხვით, ისიც ცოტა ხანს დაკვირებით შეჰხედავს მკითხავს, შემდეგ უპასუხებს. სადაც დაჯდება, მთელ საღამოს იქ ზის.

მას ყურადღებას არავინ აქცევს. თითქოს ამ სახელგანთქმულ, ყველასგან ცნობილ პირებში ის შემთხვევით მოჰყოლია.

რამოდენიმე კვირის შემდეგ, ამ კაცმა წარადგინა თავისი სურათი და ამ დღიდან ყველანი მას იცნობენ.

ძ. ფერიაშვილი.

---

*) ბერძნული ფულია; უდრის 100 დრახმას.

„რითი აიხსნება ეს"—განაგრძობდა ორატორი—„იმითი, რომ ათინა ჩვენი ოფლითა და სისხლით ივსება წურბელასავით" ...

:—:

გავიდა რამოდენიმე თვე. ძაღლიც მიავიწყდათ. ალკიბიადესი ისევ მოწყენილი იყო. ძაღლი ფეხთ უწვა და ეძინა. მთელის ცხოვრებით დაღალულს, კვირობით მშიერს, დიდიან ალკიბიადესის სალში მიყვანისა მუდამ ეძინა, თუ არ სჭამდა, ან თუ არ ბანდნენ. კარგის მოვლისა და ჭამისაგან თმა გაბრწყინვებოდა, გაზრდოდა; მურგვივით შეხვეული სასიამო შთაბეჭდილებას ახდენდა. „რა ნაირია ადამიანი? —ფიქრობდა ალკიბიადესი — ცუდს თითქოს გაურბის, აძაგებს, სცდილობს მოსპოს ცუდი; ხსოვნით კი ცუდი უფრო ახსოვს, ვიდრე კარგი. ჰეროსტრატეს სახელი ყველას ენაზე აკერია, მაგრამ ვინ იცის იმ ხუროთ მოძღვრის სახელი, რომელმაც ტაძარი ააშენა? ოთხი-ხუთი პოეზიის მოტრფიალე თუ მოიგონებს არქილოხოსის სევდიან ელეგიებს; მისი სატირები კი ლიკამბის ქალებზე, რომელთაც ვერ გაუძლეს დაცინვას და თავი მოიკლეს, ყველას ახსოვს და მათ ყველა ზეპირად ამბობს. ჩემს ცხოვრებიდანაც... მთელი საბერძნეთი ლაპარაკობდა ძაღლზე, რომელიც უღირალ ფასად ვიყიდე, მაგრამ ვის ახსოვს, ვის მოაგონდება, რომ იმავ დღეს გავანთავისუფლე ათასი მწყერი, რომ დავმტკბარიყავ მათის სიხარულით. ვის ახსოვს, რომ ჩემს ერთს რჩევას ხშირად გადაურჩენია ათინა განსაცდელისაგან".

— ექიმს უთხარი ამ ძაღლს სრულიად ძირში მოსჭრას კუდი!—უბრძანა ალკიბიადესმა მსახურს, რომელიც იქვე იდგა. როცა მსახურმა ძაღლი გაიყვანა, ალკიბიადესმა ბოროტად ჩაილაპარაკა:

— ისევ აყაყანდი, სულელო ბრბოვ!

**ნ. ლორთქიფანიძე.**

## ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

**ხარკოვი.**

მოგეხსენებათ, რომ ქართველ სტუდენტობის სულსა და გულს, მათს მამოძრავებელ ძალას, სამშობლოდან კარგა მანძილზე დაშორებულ უცხო ქვეყანაში, სათვისტომო წარმოადგენს. რა მდგომარეობაშია იგი დღეს ხარკოვში? გაზეთებიდან ეცოდინება ყველას, თუ როგორ გაიყო იგი ორად, რაღაცა უმნიშვნელო მიზეზისა გამო, და ამით, ისედაც სუსტი ძალის პატრონი, უფრო დასუსტდა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში მივიღებთ მის როლს მატერიალურ დახმარების მხრივ. რაც შეეხება ნაციონალ-კულტურულ როლს, ამის შესახებ ჯერ-ჯერობით გადაჭრილი აზრის გამოთქმა შეუძლებელია. თუმცა ის კი ცხადია, რომ ორივე სათვისტომო გაყოფის დღიდანვე როგორღაც უნარს იჩენენ. ორივეში უფრო ხშირად იმართება კრებები, ლიტერატურული გასამართლებანი, იკითხება რეფერატები და სხვ. ეჭვი არ არის, სცდილობენ, ერთიმეორეს არ ჩამორჩნენ. ალბად აქაც ჩვეულებრივმა ქართველურმა სენმა იჩინა თავი: ჯიბრობამ და ქიშპობამ. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „ზოგი ჭირი მარგებელიაო!" ნეტა ყოველი ჩვენგანი ამ გვარ მეცადინეობაში გაეჯიბროს მეორეს და არა ისეთ საქმეებში, როგორსაც არა ერთი ქართველი სტუდენტი მისდევს.

ეს ყველა კარგი, მაგრამ გამოყოფილი სათვისტომო („ქუთაისის სათვისტომო") ერთს, ფრიად არასასიამოვნო, გზას დაადგა. ჯერ კიდევ აპრილში, მან თავის ერთ-ერთ კრებაზედ ლიტერატურული გასამართლება გამართა. ასამართლებდნენ ე. ნინოშვილის მოთხრობის („უცნაური სენი") გმირებს: ტასიას და კოტე მამალაძეს. მე და, ჩემთან ერთად რამდენიმე ამხანაგი, როგორც ერთობ დაინტერესებულნი ამ გასამართლებით, მივედით და გვსურდა კრებაზე დასწრება. მაგრამ, დახეთ ჩვენს განცვიფრებას, როდესაც უარი გვითხრეს და აუდიტორიის კარები გამოგვიკეტეს.

— მეორე სათვისტომოს წევრებს კრებაზედ არ ვუშვებთ, თუ გნებავთ დაესწროთ ხოლმე, გამოდით იმ სათვისტომოდან, ჩვენსაში ჩაეწერეთ და მაშინ ნება გექნებათო! როგორ მოგწონთ, მკითხველო?..

უცხო ქვეყანაში, სამშობლოდან შორს გადმოტყორცნილ ქართველებს ერთად-ერთი ორგანიზაცია, ჩვენივე ურთიერთი დახმარება, როგორც იდეიური, ისე მატერიალური უნდა გვამხნევებდეს და ფრთებს გვასხამდეს; სადაც კი გაისმის ქართული სიტყვა, ქართული კულტურის შესახებ ბაასი და მსჯელობა, ყველა ჩვენგანი იქ უნდა შემოკრბეს და რამე შეიძინოს, რომ მომავალში ბოროტებასთან საბრძოლველად გამოადგეს. მაგრამ რას ვხედავთ? ნუ თუ რაც ზევით მოგახსენეთ ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოთ „ქუთაისის სათვისტომოს" მესვეურთ? კიდევ კარგი, თუ ეს შეცდომა შემდეგში გაასწორეს; მაგრამ ვეჭვობ, რადგან ახლაც არა ერთისაგან მესმის, რომ რეფერატზე მეორე სათვისტომოს წევრს არ შევუშვებთო. ასეთი ხმები ისმის და ვნახოთ სინამდვილე რას დაგვანახვებს.

ამ უკეთურობას ერთი უბედურობაც ზედ ერთვის. ქალაქ ხარკოვში 250-მდე ქართველი სტუდენტი იქნება. ბევრი მათგანი ძალიან მოწადინებულია გაეცნოს თავის ისტორიულ წარსულს, შეითვისოს და შეისისხლხორცოს თავისი ნაციონალური კულტურა. ამაში, რასაკვირველია, დახმარებას უნდა უწევდეს ბიბლიოთეკა. მაგრამ რას წარმოადგენს ჩვენს სათვისტომოსთან არსებული ქართული ბიბლიოთეკა? მას ერთობ ბევრი წიგნი აკლია, რომელთა წაკითხვა აუცილებლად საჭიროა, ყოველ ქართველისათვის, თუ მას ჭეშმარიტად ჰსურს გაიცნოს თავისი წარსული და კულტურის სიძლიერე. გარდა ამისა, ყველა არსებული წიგნები თითო-თითო ეგზემპლიარია, და ყოველ სტუდენტს ორ-ორი, სამ-სამი თვე უხდება ცდა, რომ საჭირო წიგნი მიიღოს. აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველ წიგნის ორი-სამი ეგზემპლიარი მაინც მოიპოვებოდეს. შეიძლება დანაკლის წიგნებიდან წინად ზოგიერთი იყო ჩვენს ბიბლიოთეკაში, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ქართველური დაუდევრობა! არა ერთს სტუდენტს გამოუტანია წიგნები წასაკითხად და უკან კი აღარ დაუბრუნებია. იმათთაგან ზოგმა უნივერსიტეტიც გაათავა, და შეიძლება, სამსახურიც იშოვნა, მაგრამ წიგნების დაბრუნებაზედ მაინც არ ფიქრობს. კარგი იქნება ერთხელ მაინც გაიხსენონ თავის სტუდენტობის ხანა და დააბრუნონ წაღებული წიგნები, თუ ცოტათი მაინც აინტერესებთ თავის უმცროს მოძმეების ბედ-იღბალი.

იმედია, არც ქართველი საზოგადოება დაიშურებს თავის წვლილს და წიგნების შემოწირვით დახმარებას გაუწევს ჩვენს ბიბლიოთეკას.

**დ. ელიოზიშვილი.**

## მოწერილი ამბები

**დ. ცაგერი** (ლეჩხუმი) ცაგერში ყოველ წელს იმართება ბაზრობა, რომელიც დაიწყება ხოლმე 13 სექტემბერს და გასტანს თვის გასვლამდის მთელი სვანეთის ქალი და კაცი ჩამოდის აქ სავაჭროდ. მოჰყავთ გასასყიდად ცხენი, ხარი, თხა და ცხვარი. თვითონ ყიდულობენ ნავთს, მარილს და ოჯახის სამკაულს. სვანმა თუ ზაფხულობით არ მიიტანა სახლში მარილი და სხვა ოჯახის საჭირო ნივთები, ოქტომბერში თოვლი მოვა და მთელი ცხრა-ათი თვე მთებზე გადავლა უთუოდ შეუძლებელი ხდება. ვაჭრები მოდიან ქუთაისიდან და ასაღებენ ცუდს, დამპალ საქონელს სვანებზე. სვანმა თუ იაფად იყიდა საქონელი, მეორე დღესვე რომ წახდეს ნაყიდი, ის დიდად არ შეწუხდება. წელს მოვიდა ცაგერში ვიღაც კაცი და აჩვენებდა ხალხს მოძრავ სურათებს. ერთ საღამოს, როდესაც მაყურებელნი გატაცებით მისჩერებოდნენ მოძრავ სურათებს, რამდენიმე თავადმა შემოიტანეს კარავში ღვინო და ქეიფი გამართეს. ხალხი სასტიკად დარჩა და ვერავინ ბედავდა წინააღმდეგ სიტყვების თქმას. ბოლოს ადგა ერთი მანდილოსანი და მოქეიფე თავადს საყვედური გამოუცხადა ასეთის თავხედ საქციელისათვის. თავადებმა ღვინოები კარედ გაიტანეს და ხმაამოუღებლივ გავიდნენ კარავიდან.

ცაგერში მოუყვანიათ პეტრეს ქალაქიდან ორი გაწვრთნილი მაძებარი ძაღლი პოლიციის სამსახურისათვის. ძაღლები ძალიან დაგეშილები აღმოჩნდნენ. უწინ თურმე ბაზრობას დროს ძალიან გახშირებული ყოფილა ქურდობა, ეხლა კი ამ ძაღლების შიშით ვეღარავინ ბედავს ქურდობას. ამას წინად ცაგერის სატუსაღოდან გაიქცა ტუსაღი სვანი ყორყოლიანი, რომელმაც გაიტაცა თოფი და პატრონები, ის თუმცა ბევრი ეძებს, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. ყორყოლიანი ამ ერთის კვირის წინად თავის ნებით გამოცხადდა ცაგერში მაზრის უფროსთან. **რაჭველი შურდული.**

—

**ს. მაღლაკი** (ქუთაისის მაზრა). სოფ. მაღლაკი მდებარეობს ქუთაისიდან დასავლეთით მეცხრე ვერსზედ. მცხოვრებთა რიცხვი აქ აღის 800-900 კომლამდე. მშვენიერი მდებარეობა, სადი ჰავერი, ქვიანი-გამშრალი ნიადაგი, ცივი ჭები, კარგი გზები და დაბა ქალაქის სიახლოვე—ამ სოფელს ნამდვილი საგარაკო ადგილად ხდიან. სწავლა განათლებით ეს სოფელი არ ჩამორჩება უკან თავის მეზობელ სოფლებს. ზედა-მაღლაკში არსებობს ორი სამინისტრო სასწავლებელი; ერთი გამოჭიმულია გზა-ტკეცილის პირზედ, რომლის დამაზი და კოხტა შენობა აშენებულია აქაურ მცხოვრებთა და ქუთაისში მოვაჭრე ძმათა ტყეშელაშვილთა ხარჯით, მეორე იმყოფება გზა-ტკეცილის გადაღმა, შუა სოფელში და მესამე კი ეხლა დაარსდა ქვედა-მაღლაკში აქაურ მემამულეთა ალექსი და მაქსიმე დეისაძეების, მასწავლებლის ვას. ბიბილეიშვილისა და სხვა შეგნებულ პირთა თაოსნობით. მაქსიმე დეისაძემ შესწირა სკოლას საკუთარი ადგილი, შენობას აშენებამდე-კი დაუთმო უსასყიდლოდ თავისი ხუთ ოთახიანი სახლი; ალექსი დეისაძემ აღუთქვა ხალხს შესწიროს სკოლის შენობისათვის 200 თუმანი ფული. მადლობის ღირსნი არიან ეს პატივცემული პირნი. სასურველია სხვებიც წაბაძავდნენ ამათ მაგალითს. საერო სასწავლებელთა დირექტორმა მადლობა გამოუცხადა მათ და კიდევაც გაუგზავნა მასწავლებლად ტ. მდინარაძე. **ლადო ბზვანელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 23 ოქტომბერს, დრამატიულ საზოგადოების დასმა ხელმეორედ წარმოადგინა ვ. გუნიას მიერ ა. სუმბათაშვილი პიესიდან გადმოკეთებული ისტორიული დრამა „ციხის საიდუმლო", რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო, (მხოლოდ ლოჟები იყო ცარიელი). წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ადგილების ფასები ჩვეულებრივზე დაკლებული იყო.

24 ოქტომბერს წარმოდგენილ იქმნა კარეევის 3 მოქმედებიანი დრამა „უბედური ნაბიჭი", თარგმანი შ. დადიანისა. ეს პიესა თითქოს საგანგებოდ იყოს დაწერილი ჩვენის უნიჭიერეს მსახიობ ქალს ნ. ჩხეიძის ასულისათვის. ამ საღამოს მან ერთხელ კიდევ დაგვანახა თავისი დიდი არტისტიული ნიჭი.

ქ-ნი მდივნის ასული სუსტი ბარონესა იყო: ვერ ჰქონდა ბარონესას შეხედულება, მიხვრა-მოხვრა და რიხი. ვერც ბ-ნი იმედაშვილი იყო შესაფერი ბოროდინი. ბ-ნმა ყალაბეგიშვილმა მხდენილად შეასრულა როტმისტრის ბალავინის როლი. სუსტი ნატაშა იყო ქ-ნი წუწუნავას ასული.

დასასრულ, აფიშებში გამოცხადებული ვ. გუნიას ვოდევილის „უსტვინაძე"-ს წარმოდგენის ნაცვლად ბ-ნმა ვ. ურუშაძემ წაიკითხა თავისი სცენები გურიის ცხოვრებიდან, რითაც იმდენი აცინა საზოგადოება, რომ ზოგიერთ მანდილოსანს თითქმის ისტერიული ხითხითი აუვარდა.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო, თუმცა მოსალოდნელი-კი იყო, რომ მეტიც დაესწრებოდა.

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში გაიმართება „ილიას საღამო", რომელიც, მოსალოდნელია, მეტად საინტერესო იქმნება. საღამო შესდგება ლიტერატურულ—დრამატიულისა და მუსიკალურ-ვოკალურის განყოფილებათაგან. საღამოში მონაწილეობას მიიღებს საგანგებოდ მოწვეული ჩვენი ნიჭიერი მგოსანი ვაჟა-ფშაველა, რომელიც არასოდეს არ უნახავს ქუთაისის საზოგადოებას. თქმა არ უნდა, ქართველი საზოგადოება თავის მოვალეობად ჩასთვლის დაესწროს ამ მეტად სიმპატიურ საღამოს და მით პატივსა სცემს ჩვენი სასიქადულო მომავის აწ განსვენებულის ილიას ხსოვნას. **იხარა.**

—

**ოზურგეთი.** შაბათს, 16 ოქტომბერს, ა. ჯაყელს რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა „პირველი და უკანასკნელი კოცნა", დრამა ერთ სურათად ტარუაშვილისა. საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი ა. ჯაყელმა, ვერ იყო კარგი მანია ლ. ჩიბ—ას ქალი, მას ხმა და მიხვრა-მოხვრა ვერ შესწევს, რომელიც აუცილებელი საჭირო არის.

შემდეგ ითამაშეს „გემრიელი ლუკმა" კომ. ერ მოქ. დ. მესხისა აქ კარგები იყვნენ ა. ჯაყელი (ადვოკატი) და ე. ლლონტი სომხის როლში. უნდა ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელნი მეტის მეტად მოხდენილად თამაშობს და თუ ასე გასტანა, ეჭვი არაა ბოლოს საუკეთესო არტისტი გამოდგება. შემდეგ ითამაშეს „ოთხი იმერელი" ვოდ. ერთ მოქ. დ. მესხისა.

აქ მშვენიერი იყო გ. კვაშალი (ზალიკა). ბევრი აცინა საზოგადოება ა. ჯაყელმა მოსამსახურის როლში. წესრიგი შედარებით გვარიანად იყო დაცული. ხალხი კვლავ ცოტა დაესწრო. ამ დღეებში დაიდგმება რამოდენიმე წარმოდგენა ადგილობრივ საქალებო და სამოქალაქო ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

**ოზურ—ელი.**

—

**ჭიათურა.** 24 ოქტომბერს, კვირა დილით, მოხდა თეატრის დარბაზში საზოგადო კრება ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. პირველად გამგეობის თავმჯდომარემ ს. ტარუაშვილმა მოახსენა საზოგადოებას დაუვიწყარ ქ. ნატ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება, რის გამოც კრებამ პატივი სცა მის ხსოვნას ფეხზედ წამოდგომით. შემდეგ საზოგადოებამ განიხილა ანგარიში და დამტკიცების შემდეგ ამოირჩია: გამგეობის წევრებად: ირაკ. დეკანოზიშვილი, ნ. ოთხმეზური, ი. გოგონაშვილი, ა. წერეთელი, გ. ნუცუბიძე, გ. ანთელიძე და ს. ტარუაშვილი; ხოლო სარევიზიო კომისიაში: კ. კაკაბაძე, გ. ნანეიშვილი და ნ. წუწუნავა. ამოირჩიეს აგრეთვე სარეპერტუარო კომისია. გამგეობის მოხსენებით საზოგადო კრებამ ერთად აირჩია საპატიო წევრებად: გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფი გ. ჭუბურიძე და ცნობილი მომღერალი ალექსანდრე კავსაძე.

აჰავე დღეს წარმოადგინეს თეატრში პიესა „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე", გ. ნუცუბიძეს რეჟისორობით. თამაშით ქალები უკეთესად თამაშობდნენ ვაჟებზედ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ქალებზედ უფრო დახელოვნებულნი არიან. **ტეტია.**

## სომეხთა ცხოვრება.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ექიმის გ. ბაღაჯიანის ახალი წიგნი,—„საკვები და კუჭის ავადმყოფობანი" (სომხურ ენაზე). დაბეჭდილია ტფილისს, ნ. აღანიანის სტამბაში. ფასი 15 კაპ.

✦ **შირვანზადეს იუბილე.** ახლო მომავალში გარდახდილ იქმნება სომეხ მწერლის და დრამატურგის შირვანზადეს ლიტერატურულ მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. იუბილეს მოწესრიგების და გამართვის თაოსნობა ეკუთვნის სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

✦ **წარმოდგენები.** სომეხ მსახიობთა დრამატიული დასი პერიოდულად ითამაშებს შემდეგს პიესებს: ორიგინალური;—შირვანზადეს „არ-შენუში"ს. თარაიანის „სოკრატი", მ. გეორგიანის „ფარანძები;" ნათარგმნები—„ტაიფუნი", „სუდელი", „მსაჯულთა სახლი", „სატანა", „მეფე ლირი", „ვიდრე ხვალ უფალო", „ჰიდრა", „ჰენრიხ ნავარელი" და სხვა.

✦ **„ქურდის" წარმოდგენა.** 25 ოქტომბერს არტისტიულ თეატრში, სომხურ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა ბერნშტენის 4 მოქ. პიესა „ქურდი", თარგმანი ხანაზადიანისა.

## განცხადებანი

**ექიმი გ. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—210)

**ექიმი ნიკო ერისთავი**
სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24.
(20—171—1)

ცენტრალური აზიური ბუფეტი
**პურ-ღვინო**
✦ ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ✦
საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.
— ვაჭრობა ღამის 2 საათამდე —
(20—160—3) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჭიჭინაძე.**

ვაუწყებ პატივცემულ მყიდველთ, რომ
**ძეხვის მაღაზია,**
რომელიც პუშკინის ქუჩაზე იყო, მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, გადატანილ იქმნა ნეკრასოვის ქუჩაზე, „ვერსალის" სასტუმროს პირდაპირ, ამ სახელწოდებით
გერმანული **ძეხვის** მაღაზია
ფირმა არსებობს 1880 წლიდან, ძეხვის ელექტრონის ქარხანა მოთავსებულია სოლომონოვის ქუჩაზე, საკ. სახლში, № 25, სადაც ვსთხოვთ მიჰმართონ ნარდად მყიდველებმა.
პატივისცემით **რ. ა. პოლსკი.**
(5—2)

**ტფილისის კანტორა**
აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გავხსენით შაქრის სავაჭრო
**ხარკოვის ამხანაგობისა**
**შაქარ-რაფინადის ქარხნისა**
ა დ რ ე ს ი: ტფილისი, ფრეილინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567.
საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. **ა. გ. სნეჟკოვი.**
(10—144—7)

ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ ИСКЛЮЧИТЕЛЬНО ИЗЪ ПАРИЖА

მოითხოვეთ
**სწორე და მკვიდრი საათები!**
ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.
ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ბ ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და საკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).
ПАРИЖЪ 7 S. Strumfeld
PARIS Rue Mirbel 2 bis.
უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ჯაჭვს ბრელოკით და ზამბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
(Мецль N 53647). (34—15—10)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოევის მრეწველობისა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
**ძმ. ძეგველოვების**
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი, (Зернистая).
— პარკისა და კოლოფებით —
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)
და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—15)
ერთად-ერთი საწყობი ფოთოევის მრეწველობისა.
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.